ჰენდაუთი 10.4: გავლენის სქემის სავარჯიშო

	<u>თქვენი გავლენა</u> *დაფიქრდით, თუ რა გავლენის მოხდენა გსურთ ძალადობრივ ექსტრემიზმზე.* **გავლენა -** გაზომვადი ეფექტი ან ცვლილება, რომელსაც პროგრამა ახდენს სამიზნე მოსახლეობაზე [და] შეიძლება იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი, პირდაპირი ან არაპირდაპირი. დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს: *არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული პრობლემა, რომლის აღმოფხვრაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს გრძელვადიან გავლენას ძალადობრივ ექსტრემიზმზე?*

<u>პროექტის პერსონალი</u>

რა საბოლოო შედეგები (ცვლილებები ან ეფექტები) არის საჭირო პროექტის პერსონალისთვის თქვენი სამიზნე გავლენის მისაღწევად?

პროექტის პერსონალი - თქვენი ორგანიზაციის ან ინსტიტუციის თანამშრომლები, რომლებიც იმუშავებენ ან ხელს შეუწყობენ თქვენი პროექტის განხორციელებას.

დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს:
რა ახალი გამოცდილება, უნარები და შესაძლებლობები უნდა შეიძინოს პროექტის პერსონალმა?

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>

რა საბოლოო შედეგები (ცვლილებები ან ეფექტები) არის საჭირო პარტნიორი ორგანიზაციებისთვის თქვენი სამიზნე გავლენის მისაღწევად?

პარტნიორი ორგანიზაციები - ნებისმიერი სხვა ინსტიტუცია, რომელიც მუშაობს თქვენი მიზნის ანალოგიური მიზნების მისაღწევად. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სამთავრობო ინსტიტუციები, კერძო საწარმოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რელიგიური ორგანიზაციები, აქტივისტები და ა.შ.

დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს:

რა სახის ახალი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაა საჭირო? რომელ ახალ მიდგომებს უნდა მიმართონ პარტნიორებმა? რა ახალი გამოცდილება, უნარები და

	შესაძლებლობები უნდა გამოიმუშაონ პარტნიორებმა?

ბენეფიციარები

რა საბოლოო შედეგები (ცვლილებები ან ეფექტები) არის საჭირო ბენეფიციარებისთვის თქვენი სამიზნე გავლენის მისაღწევად?

ბენეფიციარები - მომსახურების სამიზნე მიმღები პირები ან ღონისძიებების მონაწილეები, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამის მიზნობრივ გავლენას.

დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს:

რა ახალი გამოცდილება, უნარები და შესაძლებლობები უნდა გამოიმუშაონ პროგრამის ბენეფიციარებმა?

რა ახალი შეხედულებები, ქცევები და ურთიერთობები უნდა განავითარონ პროგრამის ბენეფიციარებმა?

<u>სისტემები</u>

რა საბოლოო შედეგები (ცვლილებები ან ეფექტები) არის საჭირო ადგილობრივი სისტემების ფარგლებში თქვენი სამიზნე გავლენის მისაღწევად?

სისტემები - ფართო მნიშვნელობის კატეგორია, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პრაქტიკულ არეალს, სამიზნე საზოგადოებას, პროგრამის ბენეფიციარების ქსელებს ან მთავრობის პოლიტიკასა თუ კანონმდებლობას.

დაუსვით შეკითხვა საკუთარ თავს:

რა პოლიტიკური ან საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს?

რა წვლილი უნდა შეიტანოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პრაქტიკულ სფეროში?

რა ნორმები უნდა დაინერგოს ან განმტკიცდეს საზოგადოებაში?

ჰენდაუთი 10.4: გავლენის სქემის სავარჯიშო